აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი № 11

21 სექტემბერი 2012 წელი **ქ. ბათუმი**

სხდომას თავმჯდომარეობდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არჩილ მიქელაძე.

სხდომას ესწრებოდნენ: ქეთევან ჯიქია, გია გარსევანიშვილი, ასლან ჩავლეიშვილი, მალხაზ კალანდაძე, თამარ ხოზრევანიძე, ავთანდილ ჩახვაძე, დიმიტრი დარჩია, მამუკა ჯაში, რამაზ ბოლქვაძე, ნანა დავითაძე და ლილე ტეტემაძე.

არ ესწრებოდა: ლევან გაბრიჩიძე.

აგრეთვე ესწრებოდნენ: უმაღლეს საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებული პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების წარმომადგენლები, რეგისტრირებული ადგილობრივი დამკვირვებლები და მასმედიის წარმომადგენლები.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი და კომისიას შესთავაზა დღის წესრიგის „სხვადასხვა“-ში საარჩევნო ბიულეტენების ტექსტის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტის განხილვა.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 11;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 11 წევრი:)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. უმაღლეს საარჩევნო კომისიაში შემოსული განცხადება/საჩივრების განხილვა;

2. განკარგულება - საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების სადემონსტრაციო და კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების დამტკიცების შესახებ;

3. განკარგულება - საარჩევნო ბიულეტენის ტექსტის დამტკიცების შესახებ;

4. სხვადასხვა.

1. უმაღლეს საარჩევნო კომისიაში შემოსული განცხადება/საჩივრების განხილვა.

- **საარჩევნო ბლოკი „ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება“ წარმომადგენლების საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.**

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ უსკოს აპარატის იურიდიული სამსახურის უფროსს ფრიდონ ბათნიძეს სთხოვა კომისიისათვის უსკოში შემოსული საჩივრის გაცნობა.

უსკოს აპარატის იურიდიული სამსახურის უფროსმა ფრიდონ ბათნიძემ აღნიშნა, რომ მ/წ 20 სექტემბერს №79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიაში საარჩევნო ბლოკის „ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება“ წარმომადგენლებმა გურამ სალაძემ და ვლადიმერ ხუბულავამ მომართა უმაღლეს საარჩევნო კომისიას და მოითხოვა ბათუმის №79 საოლქო საარჩევნო კომისიის 2012 წლის 19 სექტემბრის №16/2012 განკარგულების ბათილად ცნობა. №79 საოლქო საარჩევნო კომისიის მ/წ 19 სექტემბრის №16/2012 განკარგულებით განუხილველად დარჩა 2012 წლის 18 სექტემბრის საჩივარი გასაჩივრების ვადისა და წესის დარღვევის გამო, რომელიც წარმომადგენლებმა გაასაჩივრეს უმაღლეს საარჩევნო კომისიაში და დამატებით განმარტეს, რომ თუკი უმაღლესი საარჩევნო კომისია მიიჩნევს, რომ აღნიშნული საჩივარი შეეხება 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებს და არა უმაღლეს საბჭოს არჩევნებს მაშინ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-80 მუხლის თანახმად გადაეგზავნოს ცესკოს.

ფრიდონ ბათნიძემ განაცხადა, რომ იურიდიული სამსახურის მიერ შესწავლილი იქნა საჩივარი და წარმოდგენილია განკარგულების პროექტი, რომლითაც „ბიძინა ივანიშვილი-ქართული ოცნები“-ს წარმომადგენლების გურამ სალაძისა და ვლადიმერ ხუბულავას საჩივარი ბათუმის №79 საოლქო საარჩევნო კომისიის 2012 წლის 19 სექტემბრის №16/2012 განკარგულების ბათილად ცნობის თაობაზე განკარგულების გასაჩივრების წესის დარღვევის გამო საჩივარი

განუხილველად უნდა დარჩეს საჩივრის არსებითი განხილვის გარეშე.

,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 77-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საოლქო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირების გადაწყვეტილებები მათი მიღებიდან 1 ერთი კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს ცესკოში - ამ შემთხვევაში საჩივარი წარდგენილი უნდა ყოფილიყო არა უსკოში, არამედ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში 1 კალენდარული დღის ვადაში. 2012 წლის 2 მარტის ცესკოს №8 დადგენილებით დამტკიცებული საარჩევნო ადმინისტრაციაში განცხადება/საჩივრის შეტანისა და განხილვის ინსტრუქციის მე-4 მუხლის შესაბამისად, საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებაზე საჩივარი წარედგინება ცესკოს და არა უსკოს. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-11 მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად, საარჩევნო კომისია უფლებამოსილია არ განიხილოს განცხადება/საჩივარი, თუ დარღვეულია მისი შეტანის ვადა და წესი, საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი გასაჩივრების წესის დარღვევის შემთხვევაში საჩივარი არ უნდა იქნეს განხილული.

აზრი გამოთქვეს: კახაბერ სოფრომაძემ, მამუკა ჯაშმა, დიმიტრი დარჩიამ და ფრიდონ ბათნიძემ.

საარჩევნო ბლოკი „ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება“ წარმომადგენელმა უსკოში კახაბერ სოფრომაძემ განაცხადა, რომ საარჩევნო ბლოკი „ბიძინა ივანიშვილი - ქართულ ოცნება“ წარმომადგენლებმა №79 ბათუმის საარჩევნო ოლქს მიმართეს განცხადებით, მათ არ შეუტანიათ საჩივარი, რითაც მოითხოვეს ოლქის მიერ მიღებული ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობა, რომელიც ეხებოდა საარჩვენო უბნების შექმნას, რაზედაც აბსურდული პასუხი მიიღეს. ოლქის გადაწყვეტილება გასაჩივრებული იქნა უსკოში დადგენილ ვადაში და წესით, თუ უსკო თვლის რომ ეს გადაწყვეტილება არ არის მისი განსჯადი, მაშინ გადაუგზავნოს განსჯადობით ცესკოს. კახაბერ სოფრომაძემ ასევე აღნიშნა, რომ საარჩევნო ადმინისტრაცია არ ფიქრობს იმაზე, თუ რამდენად კანონიერად მოხდა საარჩევნო უბნების გახსნა, საარჩევნო

უბნები შექმნილია კანონის დარღვევით, გარკვეულ უბნებზე არ იყო გამოკრული საარჩევნო სიები და ისე იქნა გახნილი.

მამუკა ჯაში დაინტერესდა დაირღვა საჩივრის შემოტანის და განხლვის წესი თუ ვადა.

დიმიტრი დარჩია დაინტერესდა იყენებს თუ არ უსკო უმაღლესი საბჭოს 2012 წლიოს 1 ოქტომბრის არჩევნებისათვის შექმნილ ხსენებულ უბნებს.

იურიდიული სამსახურის უფროსმა ფრიდინ ბათნიძემ განმარტა, რომ თუ ერთდროულად ტარდება არჩევნები, მაშინ უსკო იყენებს ცესკოს მიერ შექმნილ საარჩევნო ოლქებს და ამავე ოლქების მიერ შექმნილ უბნებს. ასევე აღნიშნა, რომ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-11 მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად, საარჩევნო კომისია უფლებამოსილია არ განიხილოს განცხადება/საჩივარი, თუ დარღვეულია მისი შეტანის ვადა და წესი, საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი გასაჩივრების წესის დარღვევის შემთხვევაში საჩივარი არ უნდა იქნეს განხილული.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება საარჩევნო ბლოკი „ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება“ წარმომადგენლების საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 10;
წინააღმდეგი 2;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 12 წევრი).

მიღებულია განკარგულება:

2012 წლის 20 სექტემბერს საარჩევნო ბლოკის „ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება“ №79 ბათუმის საარჩევნო კომისიაში წარმომადგენლებმა გურამ სალაძემ და ვლადიმერ ხუბულავამ მომართეს უმაღლეს საარჩევნო კომისიას და მოითხოვეს ბათუმის №79 საოლქო საარჩევნო კომისიის 2012 წლის 19 სექტემბრის №16/2012 განკარგულების ბათილად ცნობა. №79 საოლქო საარჩევნო კომისიის 2012 წლის 19 სექტემბრის №16/2012

განკარგულებით განუხილველად დარჩა 2012 წლის 18 სექტემბრის საჩივარი №79 ბათუმის საარჩევნო ოლქის №19 საუბნო საარჩევნო კომისიის 2012 წლის 15 სექტემბრის №12/2012 განკარგულება გასაჩივრების ვადისა და წესის დარღვევის გამო, რომელიც წარმომადგენლებმა გაასაჩივრეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში.

,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-11 მუხლის მე-13 პუნქტის, მე-15 მუხლის პირველი პუნქტის ,,ტ" ქვეპუნქტის, 73-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. განუხილველად დარჩეს საარჩევნო ბლოკის ,,ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება" წარმომადგენლების გურამ სალაძისა და ვლადიმერ ხუბულავას საჩივარი ბათუმის №79 საოლქო საარჩევნო კომისიის 2012 წლის 19 სექტემბრის №16/2012 განკარგულების ბათილად ცნობის თაობაზე გასაჩივრების წესის დარღვევის გამო.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 (ერთი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

- **საარჩევნო ბლოკი „ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება" წარმომადგენლების საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.**

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ უსკოს აპარატის იურიდიული სამსახურის უფროსს ფრიდონ ბათნიძეს სთხოვა კომისიისათვის უსკოში შემოსული საჩივრის გაცნობა.

უსკოს აპარატის იურიდიული სამსახურის უფროსმა ფრიდონ ბათნიძემ აღნიშნა, რომ მ/წ 20 სექტემბერს საარჩევნო ბლოკი ,,ბიძინა ივანიშვილი-ქართული ოცნები"-ს №79 ბათუმის საარჩევნო კომისიაში წარმომადგენლებმა გურამ სალაძემ და ვლადიმერ ხუბულავამ მომართეს უმაღლეს საარჩევნო კომისიას საჩივრით და მოითხოვეს №79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის ინფორმაციის გაცემის დავალდებულება. კერძოდ გადმოეცა თუ არა საქართველოს თავდაცვის და შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხედრო

(გასამხედროებული) ძალების და შენაერთების ვადიანი და საკონტრაქტო მოსამსახურეების სია 2012 წლის 1 ივლისის მდგომარეობით №79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიას. №79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიამ საარჩევნო ბლოკი „ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება“ ამავე ოლქის წარმომადგენლებს წერილობით აცნობა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 184-ე მუხლის მე-9 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების მოსამსახურეთა შესახებ მონაცემებს შესაბამისი სამინისტროები არაუგვიანეს 2012 წლის 1 ივლისისა გადასცემენ ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისიასა და ცესკოს.

ფრიდონ ბათნიძემ განაცხადა, რომ იურიდიული სამსახურის მიერ შესწავლილი იქნა საჩივარი და წარმოდგენილია განკარგულების პროექტი, რომლითაც ,,ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნები''-ს წარმომადგენლების გურამ სალაძისა და ვლადიმერ ხუბულავას საჩივარი №79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის ინფრომაციის გაცემის დავალდებულების თაობაზე გასაჩივრების წესის დარღვევის გამო უნდა დარჩეს განუხილველი საჩივარის არსებითი განხილვის გარეშე.

,,საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 77-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ საარჩევნო კომისიაში ან სასამართლოში ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საოლქო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირების გადაწყვეტილებები მათი მიღებიდან 1 ერთი კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს ცესკოში. უსკო ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 184-ე მუხლის მე-9 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად ვერ დაავალდებულებს №79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიას ინფორმაციის გაცემაზე ვინაიდან 2012 წლის 1 ივლისის მდგომარეობით საქართველოს თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროები სამხედრო (გასამხედროებული) ძალების და შენაერთების ვადიანი და საკონტრაქტო მოსამსახურეების

სიას გადასცემენ ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისიას და ცესკოს.

აზრი გამოთქვეს: კახაბერ სოფრომაძემ, გია გარსევანიშვილმა, რამაზ ბოლქვაძემ და ფრიდონ ბათნიძემ.

საარჩევნო ბლოკი „ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება“ წარმომადგენელმა უსკოში კახა სოფრომაძემ განაცხადა, რომ უბანი იქმნება კანონის დარღვევით, ვინაიდან უბნის გახსნისას არ არის უბანზე იმ ამომრჩევლის სია, რომლემაც უნდა მისცეს ხმა.

გია გარსევანიშვილმა აღნიშნა, რომ საარჩევნო კოდექსით და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონით ზუსტად არის განსაზღვრული კენჭისყრამდე თუ რა ვადაში და ვინ უნდა გადასცეს შესაბამის საარჩევნო ოლქს ამომრჩეველთა სიები, რასაც დაეთანხმა რამაზ ბოლქვაძე.

იურიდიული სამსახურის უფროსმა ფრიდინ ბათნიძემ განაცხადა, რომ საარჩევნო კომისია უფლებამოსილია არ განიხილოს განცხადება/საჩივარი, თუ დარღვეულია მისი შეტანის ვადა და წესი, საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი გასაჩივრების წესის დარღვევის შემთხვევაში საჩივარი არ უნდა იქნეს განხილული.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება საარჩევნო ბლოკი „ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება“ წარმომადგენლების საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 10;
წინააღმდეგი 2;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 12 წევრი).

მიღებულია განკარგულება:

2012 წლის 20 სექტემბერს საარჩევნო ბლოკის „ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება“ №79 ბათუმის საარჩევნო კომისიაში წარმომადგენლებმა გურამ სალაძემ და ვლადიმერ ხუბულავამ მომართეს უმაღლეს საარჩევნო კომისიას საჩივრით და მოითხოვეს ბათუმის №79 საოლქო საარჩევნო კომისიის დავალდებულება გასცეს ინფორმაცია გადმოსცა თუ არა საქართველოს თავდაცვისა და შინაგან საქმეთა

სამინისტროს სამხედრო (გასამხედროებული) ძალების და შენაერთების ვადიანი და საკონტრაქტო სამსახურების სამხედრო მოსამსახურეების სია 2012 წლის 1 ივლისის მდგომარეობით.

,,საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 77-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საოლქო საარჩევნო კომისიის/კომისიის ხელმძღვანელი პირების გადაწყვეტილებები მათი მიღებიდან 1 ერთი კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში. ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-11 მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად, საარჩევნო კომისია უფლებამოსილია არ განიხილოს განცხადება/საჩივარი, თუ დარღვეულია მისი შეტანის ვადა და წესი.

,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-11 მუხლის მე-13 პუნქტის, მე-15 მუხლის პირველი პუნქტის ,,ტ“ ქვეპუნქტის, 73-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

1. განუხილველად დარჩეს საარჩევნო ბლოკის ,,ბიძინა ივანიშვილი-ქართული ოცნება“ წარმომადგენლების გურამ სალაძისა და ვლადიმერ ხუბულავას საჩივარი ბათუმის №79 საოლქო საარჩევნო კომისიის ინფორმაციის გაცემის დავალდებულების თაობაზე საჩივარი გასაჩივრების წესის დარღვევის გამო.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 (ერთი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

- **საარჩევნო ბლოკი „ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება“ წარმომადგენლის საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.**

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ უსკოს აპარატის იურიდიული სამსახურის უფროსს ფრიდონ ბათნიძეს სთხოვა კომისიისათვის უსკოში შემოსული საჩივრის გაცნობა.

უსკოს აპარატის იურიდიული სამსახურის უფროსმა ფრიდონ ბათნიძემ აღნიშნა, რომ მ/წ 20 სექტემბერს №79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიაში საარჩევნო ბლოკის „ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება“ წარმომადგენელმა გურამ სალაძემ მომართა უმაღლეს საარჩევნო კომისიას და მოითხოვა ბათუმის №79 საოლქო საარჩევნო კომისიის 2012 წლის 19 სექტემბრის №15/2012 განკარგულების ბათილად ცნობა. №79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის 2012 წლის 19 სექტემბრის №15/2012 განკარგულებით განუხილველად დარჩა 2012 წლის 18 სექტემბრის საჩივარი №79 ბათუმის საარჩევნო ოლქის №19 საუბნო საარჩევნო კომისიის 2012 წლის 26 აგვისტოს განკარგულების ბათილად ცნობის თაობაზე გასაჩივრების ვადის დარღვევის გამო.

ფრიდონ ბათნიძემ განაცხადა, რომ იურიდიული სამსახურის მიერ შესწავლილი იქნა საჩივარი და წარმოდგენილია განკარგულების პროექტი რომლითაც „ბიძინა ივანიშვილი-ქართული ოცნები“-ს წარმომადგენლის გურამ სალაძის საჩივარი ბათუმის №79 საოლქო საარჩევნო კომისიის 2012 წლის 19 სექტემბრის №15/2012 განკარგულების ბათილად ცნობის თაობაზე განკარგულების გასაჩივრების წესის დარღვევის გამო უნდა დარჩეს განუხილველი საჩივრის არსებითი განხილვის გარეშე.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ” აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 73-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საჩივარი შეიტანება ზემდგომ საარჩევნო კომისიაში ან სასამართლოში. საარჩევნო კანონმდებლობის შესაბამისად, საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირების გადაწყვეტილება საჩივრდება საოლქო საარჩევნო კომისიაში, ხოლო საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება სასამართლოში. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 73-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, საუბნო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრების გამო საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების უსკოში გასაჩივრების შემთხვევაში განცხადება/საჩივარი განუხილველად რჩება, ამავე კანონის მე-11 მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად საარჩევნო კომისია

უფლებამოსილია არ განიხილოს განცხადება/საჩივარი, თუ დარღვეულია მისი შეტანის ვადა და წესი.

აზრი გამოთქვეს: კახაბერ სოფრომაძემ, რამაზ ბოლქვაძემ, ფრიდონ ბათნიძემ, გია გარსევანიშვილმა და არჩილ მიქელაძემ.

საარჩევნო ბლოკი „ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება“ წარმომადგენელმა უსკოში კახა სოფრომაძემ განაცხადა, რომ უნდა დადგინდეს თუ როგორ მოხდა სხვის ნაცვლად „დასწრების ფურცელზე“ სულ სხვა ადამიანის ხელმოწერა. კომისიას კიდევ ერთხელ გააცნო საჩივრი და აღნიშნა, რომ მოხდეს ამ ფაქტის გამოკვლევა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება.

რამაზ ბოლქვაძემ აღნიშნა, რომ ეს საკითხი არ არის უსკოს კომპეტენცია და განაცხადა, რომ საარჩევნო უბნის გახსნის დროს მოწმდება კომისიის წევრების პირადობის და კომისიის წევრის მოწმობის შემოწმება.

ფრიდონ ბათნიძემ განაცხადა, რომ უსკო არ წარმოადგენს საგამოძიებო ორგანოს და თუ ადგილი ქონდა ისეთ ქმედებას რაც არ რეგურილდება საარჩევნო კანონმდებლობით, მათ უნდა მიმართონ სათანადო ორგანოებს. ასევე აღნიშნა, რომ ოლქის გადაწყვეტილება კანონმდებლობით საჩივრდება სასამართლოში. ამ შემთხვევაში დარღვეული იყო გადაწყვეტილების უსკოში გასაჩივრების წესი, რის გამოც ის განუხილველი უნდა დარჩეს.

არჩილ მიქელაძემ აღნიშნა, რომ დაევალოს უსკოს აპარატის საორგანიზაციო სამსახურს ოლქის თავმჯდომარეების უსკოში დაბარების ორგანიზება რათა მათგან მოვისმინოთ თუ რა მდგომარეობაა საარჩევნო ოლქებში და უბნებში.

გია გარსევანიშვილმა აღნიშნა, კარგი იქნება კიდევ ერთხელ თუ მოვიწვევთ ოლქის თავმჯდომარეებს და მათგან მოვისმენთ თუ რა მდგომარეობა შესაბამის ოლქში და უბნებში.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება საარჩევნო ბლოკი „ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება“ წარმომადგენლის საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 10;
წინააღმდეგი 2;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 12 წევრი).

მიღებულია განკარგულება:

2012 წლის 20 სექტემბერს საარჩევნო ბლოკის „ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება“ №79 ბათუმის საარჩევნო კომისიაში წარმომადგენელმა გურამ სალაძემ მომართა უმაღლეს საარჩევნო კომისიას და მოითხოვა ბათუმის №79 საოლქო საარჩევნო კომისიის 2012 წლის 19 სექტემბრის №15/2012 განკარგულების ბათილად ცნობა. №79-ე საოლქო საარჩევნო კომისიის 2012 წლის 19 სექტემბრის №15/2012 განკარგულებით განუხილველად დარჩა 2012 წლის 18 სექტემბრის საჩივარი №79 ბათუმის საარჩევნო ოლქის №19 საუბნო საარჩევნო კომისიის 2012 წლის 26 აგვისტოს განკარგულების ბათილად ცნობის თაობაზე გასაჩივრების ვადის დარღვევის გამო.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 73-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, საუბნო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრების გამო საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების უმაღლეს საარჩევნო კომისიაში გასაჩივრების შემთხვევაში განცხადება/საჩივარი განუხილველად რჩება.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-11 მუხლის მე-13 პუნქტის, მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტის, 73-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. განუხილველად დარჩეს საარჩევნო ბლოკი „ბიძინა ივანიშვილი-ქართული ოცნება“ წარმომადგენლის გურამ სალაძის საჩივარი ბათუმის №79 საოლქო საარჩევნო კომისიის 2012 წლის 19 სექტემბრის №15/2012 განკარგულების ბათილად ცნობის თაობაზე გასაჩივრების წესის დარღვევის გამო.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 (ერთი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

2. განკარგულება

საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების სადემონსტრაციო და კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების სადემონსტრაციო და კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების სადემონსტრაციო და კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე	12;
წინააღმდეგი	0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 12 წევრი).

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. დამტკიცდეს საოლქო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების სადემონსტრაციო ოქმები:

ა) საოლქო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების პროპორციული სადემონსტრაციო ოქმი (ფორმა №1-07.57.04);

ბ) საოლქო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების მაჟორიტარული სადემონსტრაციო ოქმი №79 ბათუმის საარჩევნო ოლქში (ფორმა №1-07.58.04);

გ) საოლქო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების მაჟორიტარული სადემონსტრაციო ოქმი №80 ქედის საარჩევნო ოლქში (ფორმა №1-07.58.05);

დ) საოლქო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების მაჟორიტარული სადემონსტრაციო ოქმი №81 ქობულეთის საარჩევნო ოლქში (ფორმა №1-07.58.06);

ე) საოლქო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების მაჟორიტარული სადემონსტრაციო ოქმი №82 შუახევის საარჩევნო ოლქში (ფორმა №1-07.58.07);

ვ) საოლქო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების მაჟორიტარული სადემონსტრაციო ოქმი №83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქში (ფორმა №1-07.58.08);

ზ) საოლქო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების მაჟორიტარული სადემონსტრაციო ოქმი №84 ხულოს საარჩევნო ოლქში (ფორმა №1-07.58.09).

2. დამტკიცდეს საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების სადემონსტრაციო ოქმები:

ა) საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების პროპორციული სადემონსტრაციო ოქმი (ფორმა №1-07.30.03);

ბ) საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების მაჟორიტარული სადემონსტრაციო ოქმი №79 ბათუმის საარჩევნო ოლქში (ფორმა №1-07.31.03);

გ) საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების მაჟორიტარული სადემონსტრაციო ოქმი №80 ქედის საარჩევნო ოლქში (ფორმა №1-07.31.04);

დ) საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების მაჟორიტარული სადემონსტრაციო ოქმი №81 ქობულეთის საარჩევნო ოლქში (ფორმა №1-07.31.05);

ე) საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების მაჟორიტარული სადემონსტრაციო ოქმი №82 შუახევის საარჩევნო ოლქში (ფორმა№1-07.31.06);

ვ) საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების მაჟორიტარული სადემონსტრაციო ოქმი №83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქში (ფორმა№1-07.31.07);

ზ) საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების მაჟორიტარული სადემონსტრაციო ოქმი №84 ხულოს საარჩევნო ოლქში (ფორმა №1-07.31.08);

3. დამტკიცდეს საოლქო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმები:

ა) საოლქო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების პროპორციული შემაჯამებელი ოქმი (ფორმა №1-07.55.04);

ბ) საოლქო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების მაჟორიტარული შემაჯამებელი ოქმი №79 ბათუმის საარჩევნო ოლქში (ფორმა №1-07.56.04);

გ) საოლქო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების მაჟორიტარული შემაჯამებელი ოქმი №80 ქედის საარჩევნო ოლქში (ფორმა №1-07.56.05);

დ) საოლქო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების მაჟორიტარული შემაჯამებელი ოქმი №81 ქობულეთის საარჩევნო ოლქში (ფორმა №1-07.56.06);

ე) საოლქო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების მაჟორიტარული შემაჯამებელი ოქმი №82 შუახევის საარჩევნო ოლქში (ფორმა №1-07.56.07);

ვ) საოლქო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების მაჟორიტარული შემაჯამებელი ოქმი №83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქში (ფორმა №1-07.56.08);

ზ) საოლქო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების მაჟორიტარული შემაჯამებელი ოქმი №84 ხულოს საარჩევნო ოლქში (ფორმა №1-07.56.09).

4. დამტკიცდეს საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმები:

ა) საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების პროპორციული შემაჯამებელი ოქმი (ფორმა №1-07.33.03);

ბ) საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების მაჟორიტარული შემაჯამებელი ოქმი №79 ბათუმის საარჩევნო ოლქში (ფორმა №1-07.32.03);

გ) საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების მაჟორიტარული შემაჯამებელი ოქმი №80 ქედის საარჩევნო ოლქში (ფორმა №1-07.32.04);

დ) საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების მაჟორიტარული შემაჯამებელი ოქმი №81 ქობულეთის საარჩევნო ოლქში (ფორმა №1-07.32.05);

ე) საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების მაჟორიტარული შემაჯამებელი ოქმი №82 შუახევის საარჩევნო ოლქში (ფორმა№1-07.32.06);

ვ) საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების მაჟორიტარული შემაჯამებელი ოქმი №83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქში (ფორმა№1-07.32.07);

ზ) საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების მაჟორიტარული შემაჯამებელი ოქმი №84 ხულოს საარჩევნო ოლქში (ფორმა №1-07.32.08);

5. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

6. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება

საარჩევნო ბიულეტენების ტექსტის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო საარჩევნო ბიულეტენების ტექსტის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება საარჩევნო ბიულეტენების ტექსტის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე	12;
წინააღმდეგი	0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 12 წევრი).

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. დამტკიცდეს 2012 წლის 1 ოქტომბრის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის საარჩევნო ბიულეტენის ტექსტი თანდართული ნიმუშის მიხედვით.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

ხდომაზე სხვა განსახილველი საკითხები არ წამოჭრილა.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე **არჩილ მიქელაძე**

კომისიის მდივანი **ქეთევან ჯიქია**